ვასილ მამულაშვილი

რკინის ხაზინადარი

თბილისი
2000

ციფრი დამოუკიდებლად არაფერს ნიშნავს. ციფრების ერთობლიობა აზრს, შინაარსს იძენს. ერთობლიობას ადამიანის გონება ჰქმნის, აყალიბებს, მიმართულებას, დანიშნულებას ანიჭებს.

***

სერგო კილატოვი: აწერია კაბინეტს. წარწერაც რომ არ ჰქონდეს, რკინიგზის დეპარტამენტის თანამშრომლებმა იციან, რომ აქ ზის კაცი, რომელიც მთელი სისტემის, სამსახურის ფინანსებს განაგებს. ვერც წარმოუდგენიათ მის გარეშე ეს კაბინეტი. 40 წელია უკვე: ყოველ დღე, ადრიან დილით იღება კარი და გვიან ღამით ქრება სინათლე.

***

„60“ თავისთავად ლამაზი ციფრია. ზოგისთვის იგი მთელი ცხოვრებაა. სერგო კილატოვისთვის - ცხოვრებაც არის, საქმეც და შეგნებული სიცოცხლის აზრიც.

***

მისი ცხოვრება კი უფრო ადრე, გაცილებით ადრე დაიწყო. ალბათ მაშინ, როდესაც გაბომთვლელი ტექნიკის „უდიდეს აღმოჩენად“ უბრალო ხის საანგარიშო ითვლებოდა. მას მაგიური ძალა უნდა ჰქონოდა პატარა სერგოსთვისაც.

მაშინ არ უფიქრიათ ამაზე სანდრო და ანო კილ-ატოვებს. ერთი წლის არ იყო სერგო, ოჯახი საცხოვრებლად სიღნაღიდან თბილისში გადმოვიდა. ზრდიდნენ სამ შვილს - ორ ვაჟს და ერთ ქალიშვილს - სულით და ხორცით ქართველებად. „ოჯახში მხოლოდ ქართულად ვლაპარაკობდით და ერთბაშად გადაწყდა... რუსული სკოლა დამემთავრებინა“ 65-ე რუსული სკოლა იყო მისი აზროვნების, არჩევანის სერიოზული დასაწყისი, შეხვედრა საგნებთან, მოვლენებთან, ციფრებთან.

მოსკოვში პირველ გამგზავრებამდე კიდევ ორი წელია. ამიერკავკასიის რკინიგზა ფინანსისტების, საანგარიშო დარგის მუშაკების მწვავე ნაკლებობას განიცდის. პროფესიონალები არ ჰყავთ. თვითნასწავლი ბუღალტრების ამარა კი მოძრაობის ეს მთავარი არტერია შორს ვერ წავა. ამ პრობლემის მოგვარებას ითვალისწინებს რკინიგზის სასწავლო კომბინატიც, რომელიც საფინანსო-საანგარიშო დარგის სპეციალისტებს ამზადებს. აქ მოვა ყმაწვილი სერგო კილატოვიც. მიუჯდება მერხს, პირველად გაუსწორებს თვალს ციფრებს, დაუმეგობრდება და მასზე ფიქრსა და მზრუნველობაში გაატარებს ახალგაზრდობის ლამაზ წლებს, მთელ შეგნებულ ცხოვრებას; აქ გადასცემენ ბუღალტრის ატესტატს და გზას დაულოცავენ. ეს „ფოლადის გზაა“ ამ გზით მიემგზავრებიან მატარებლები ახლო და შორეულ რეი-

სერგო (დგას) და მისი ძმა ბორის კილატოვი

სებში, გადაჰყავთ ადამიანები და გადააქვთ ტვირთი. რკინიგზით გაემგზავრება ახალგაზრდა ბუღალტერი მოსკოვში. 1939 წელს თბილისის რკინიგზის განყოფილების ბუღალტრად ნიშნავენ, და შენიშნავენ: ეს ახალგაზრდა არ ჰგავს სხვებს: კორექტულია, მოწესრიგებული, ზუსტი, უკომპრომისო, ენერგიული. იგი უფრო შორს წავა. „შორს" - მოსკოვია - საფინანსო სასწავლებელი.

... ომის დაწყებამდე ერთი თვე რჩება. საფინანსო სასწავლებლის კურსდამთავრებული სერგო კილატოვი მშობლიური თბილისისაკენ მოეშურება.

***

სიზუსტე - მისი ცხოვრების კრედოა. პროფესიული საქმიანობის ათვლას კი, მაინც 23 წლის ასაკიდან იწყებს. ამაყობს კიდეც: „23 წლის ახალგაზრდა დამნიშნეს უფროს ბუღალტრად" შემდეგ, მალე, მთავარი ბუღალტერია: რკინიგზის სამონტაჟო-სამშენებლო დისტანციაში. ახალგაზრდა ფინანსისტის საქმიანი თვისებები სწრაფად ხდება ცნობილი რკინიგზის მთელი ხელმძღვანელობისათვის. იგი „ოქროს რეზერვია", სადაც ჭირს: „რას იტყვით სერგო კილატოვზე?" გართულდა სამსახურებრივი ურთიერთობები რკინიგზის დაცვის სამმართველოში. „საჭიროა გადმოვიყვანოთ კილატოვი, კონფლიქტი სხვანაირად ვერ მოგვარდება". იგი გადაიყვანეს დაცვის სამმართველოში, კონფლიქტი მოგვარდა,

წესრიგი დამყარდა. შემდეგ გზის მთავარი ბუღალტერიის გაძლიერების საკითხი დაისვა. მიუხედავად დაცვის სამმართველოს წინააღმდეგობისა კილატოვი გადაჰყავთ გზის მთავარი ბუღალტრის მოადგილედ.

***

რკინიგზას არა აქვს საზღვარი. ორი ფოლადის პარალელი არასოდეს გადაიკვეთება და მარად უსასრულობისაკენ მიისწრაფვის. იგი აერთებს, ერთმანეთს უკავშირებს ქვეყნებს, ადამიანებს. ხოლო როდესაც ქვეყნის ამ მთავარ არტერიას ხელოვნურად გადაჭრიან, სუსტდება, წყდება ქვეყნის მაჯისცემაც. ასე იყო დიდი სამამულო ომის წლებში, ასეა დღესაც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში... ომის დამთავრების შემდეგ აღდგა სარკინიგზო მაგისტრალები, მოძრაობა ჩვეულ კალაპოტში ჩადგა. შეიქმნა კავკასიის რკინიგზის ოლქი, რომელშიც ოთხი მთავარი მაგისტრალი გაერთიანდა. ოლქის უფროსად დაინიშნა არუთიუნოვი, ნარკომის ყოფილი პირველი მოადგილე, ხოლო ამიერკავკასიის რკინიგზას კვლავ კიკნაძე უდგას სათავეში.

მაგისტრალის გამსხვილებამ ფინანსური ურთიერთობებიც გაართულა. კავკასიის ოლქი დროულად ვერ აბარებს ბალანსს მოსკოვში. იმის გამო, რომ ამიერკავკასიის გზა სისტემატურად არღვევდა ბალანსის ჩაბარების ვადებს, არუთიუნოვი ურეკავს კიკნაძეს, კიკნაძე - ორჯონიკი-

ძეს (ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი ბუღალტერია). და ისევ... კილატოვი. იგი იხსენებს: შევძელით უმოკლეს ვადებში ნაკლოვანების აღმოფხვრა. ბალანსის ვადაზე ადრე ჩაბარება. ჩვენი საქმიანობა ფრიადზე შეფასდა. მთავარმა ბუღალტერმაც შვებით ამოისუნთქა: „ნახეთ, მოწინავეები ვართ, ყოჩაღ სერგო!"

გზის უფროსმა კიკნაძემ თავისი კმაყოფილება გამოთქვა. შეწყდა პრეტენზიები ბალანსის ჩაბარების ვადების დარღვევის თაობაზე. ინჟინერ-ლეიტენანტს სერგო კილატოვს ენიჭება მაიორის წოდება.

***

ციფრები ცოცხლობენ, სუნთქავენ, მოძრაობენ. ციფრები ფაქიზი, სათუთი „არსებებია"; ისინი ენდობიან ადამიანებს, მის ხასიათს, თვისებებს, ფიქრებს, აზრებს გამოხატავენ. ციფრები ადამიანის მორალურ-ზნეობრივი და ფსიქოლოგიური სახეა.

***

„ოლქებს" რეორგანიზაცია შეეხო. ამიერკავკასიის რკინიგზა დამოუკიდებელი ერთეულია საკავშირო მაგისტრალურ სისტემაში. ამჯერად, ბალანსს მოსკოვი ჩაიბარებს.

მოსკოვი სერგოსათვის არ არის „უცხო" იქ სწავლობდა და ბევრი ნაცნობი ჰყავდა. სერგო კილატოვს უკვე დამთავრებული აქვს როსტოვის რკინიგზის ტექნიკუმი, შემდეგ თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის „საბუღალტრო აღრიცხვისა და ანალიზის“ ფაკულტეტი. ოღონდ, ჯერ ისევ მოადგილეა, ამჯერად დაუშვილის. ორჯონიკიძე უკვე საფინანსო განყოფილებაშია. „იგი უაღრესად პატიოსანი და შეურიგებელი კაცი იყო“, იტყვის სერგო. დაუშვილიც სხვა სამუშაოზე გადაჰყავთ. გადის 8 თვე და... მოსკოვი ელოდება წლიურ ბალანსს საქართველოდან. ახლა ყველაფერი ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი ბუღალტრის მოადგილეზეა დამოკიდებული.

მოსკოვში კი დიდი ხანია ინტერესით ელოდებიან ქართულ „ირანულ ხალიჩას“ ასეთ „ეგზოტიკურ“ შეფასებას ღებულობდა უკლებლივ ყველა ბალანსი, რომელიც მანამდე ჩამოჰქონდათ საქართველოდან. ამჯერად „არ გაუმართლა“ ცენტრალური ბუღალტერიის უფროსს. სერგო კილატოვმა უნაკლო ბალანსი წარადგინა. ციფრები ზუსტი, შეჯერებული, გამართული. „ეს საუკეთესოა“, გაოცებას ვერ მალავდა ცენტრალური ბუღალტერიის უფროსი ივანოვი. მხოლოდ ერთი რამ აკვირვებდა მოსკოველ უფროსს: „რატომ აქამდე არ გნიშნავენ უფროსად?“ ამ კითხვას მალე - სერგო კილატოვის მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ - გაეცა პასუხი.

„დღეს ვესაუბრე ივანოვს, შენი კანდიდატურა შევთავაზე მთავარ ბუღალტრად“, - უთხრა კიკნაძემ, - „ჩვენ გვჯერა შენი, ხომ იცი, ჩვენთ-

ან ყველა ნათესავია, მეგობარი, იყავი მტკიცე და შეურიგებელი, როგორც ყოველთვის“

თავად კიკნაძე წავიდა. მოვიდა ქადაგიძე მოსკოვის გზის ყოფილი უფროსი. სერგო კილატოვი ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ ბუღალტრად დაინიშნა.

***

„40 წელი“ 1959 წლიდან იწყება. ამ დროს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში მთავარი ბუღალტერია და საფინანსო განყოფილება ერთიანდება და მის ბაზაზე იქმნება საფინანსო სამსახური. სერგო კილატოვის კანდიდატურა უპრეტენზიოა, მაგრამ თავად „ყოფილ მოადგილეს“ ნოსტალგია ეძალება. უფრო სწორად, ადამიანური მოკრძალება და თავმდაბლობა ათქმევინებს: გთხოვთ ორჯონიკიძე დანიშნოთ უფროსად, მე მოადგილე ვიქნები. თხოვნას რამდენჯერმე იმეორებს. ახალი უფროსი მამაცაშვილი ყოფილ უფროსს და ამჟამად ცენტრალური კომიტეტის მდივანს ქადაგიძეს უთანხმებს: ვინ დავნიშნოთ? - რა თქმა უნდა, კილატოვი. ისმის ყურმილში და ამ სიტყვებს ორივე ერთად ისმენს: რკინიგზის უფროსი და საფინანსო სამსახურის მომავალი უფროსი.

უკვე 40 წელია!..

***

ციფრები ადამიანის ხელში ენერგიას, უზარმაზარ ძალას იძენენ. შეუძლიათ აშენონ, შექმნან,

ამრავლონ და... დაანგრიონ, არარაობად აქციონ, თუ ამ ენერგიას, ძალას არასწორად გამოვიყენებთ... ციფრები სიზუსტეა, კონტროლია სხვისი და საკუთარი თავის, იგი პატიოსნების, ერთგულების საზომია.

***

„მოსკოვიდან ჩამოვედი (ბალანსი ჩავაბარე) და მოდის ჩემთან „კგბ"-ს თანამშრომელი. „საქმეს" მიჩვენებს. ეს კაცი, როგორც მავნებელი, დაპატიმრებულია. გთხოვთ, გაეცანით და დასკვნა დამიწერეთ. ვეცნობი. ასეთი „საქმისთვის" მთელი გზის თანამშრომელთა 50%-ის დაპატიმრებაც შეიძლება... ვინ არის ამისგან დაზღვეული? დასკვნას ვუწერ და, „დამნაშავეს" ამართლებენ"

ენდობიან. იციან: სერგო კილატოვი შეუვალი, მართალი კაცია. სახელმწიფო და საწარმოს ინტერესები მისთვის მთავარია, საკუთარ თავზე მაღლა დგას. მაშინაც რომ დაეჯერებინათ, 770 000 დოლარი არ დაიკარგებოდა. „არ გადავრიცხავო", მტკიცედ განუცხადა გზის მაშინდელ უფროსს. „უნდა გადაურიცხოო", არ ეშვებოდა. საფინანსო სამსახურის უფროსთან რომ ვერაფერი გააწყეს, აკრედიტივებით მოახერხეს არაფრისმქონე ფირმა „გურიასათვის" 770 000 დოლარის გადარიცხვა შაქრის დასამზადებლად. მათი აკრედიტივიც ამერიკაში დარჩა და ფულიც...

მოსკოვი. ფინანსისტთა თათბირის შემდეგ

საქართველოს რკინიგზის საფინანსო სამსახურის უფროსი, ღირსეულად ატარებს ოთხ ორდენს, ექვს მედალს, საპატიო რკინიგზელის, შრომის ვეტერანის საპატიო სახელს. არის რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი.

და ეს - პროფესიული გმირობის ტოლფასია;

და კიდევ ერთი, რაც გვირგვინს დაადგამდა მის პროფესიულ მონაგარს: რკინის ფინანსისტი.

***

რკინის ბორბალი ტრიალებს...

მის ქვეშ გამუდმებით მიჰქრის „ფოლადის პარალელები", რომლებიც არასოდეს გადაიკვეთება.

ტრიალებს რკინის ბორბალი, ტრიალებს და მასზეა დამოკიდებული არა მარტო მგზავრების, ადამიანების ბედი... შარშან ჩვენს ქვეყანას რკინიგზამ 17 მილიონი ლარი მოგება მისცა. ამონარიდი საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორის მოხსენებიდან:

„საუკუნის განმავლობაში საქართველოს რკინიგზა მისი ეკონომიკის ხერხემლად ჩამოყალიბდა, მაგრამ, ჩვენი სამშობლოს მტრები, სულ ცოტა ხნის წინათ, მის დანგრევასაც შეეცადნენ. მაშინ ძნელი წარმოსადგენი იყო რკინიგზა როგორ გამოცოცხლდებოდა. დიახ, მიუხედავად ახლახანს გადატანილი დიდი განსაცდელისა, საქართველოს რკინიგზამ ახალი სიცოცხლე შეიძინა.

გავიხსენოთ საქართველოს რკინიგზის განვითარების ძირითადი ეტაპები. 1877 წელს აშენდა რიონი-ქუთაისის, რიონი-ტყიბულის, 1891 წელს ზესტაფონი-ჭიათურის ხაზები. 1883 წელს აშენდა თბილისი-ბაქოს რკინიგზის ხაზი და სამტრედია-ბათუმის უბანი, რითაც საფუძველი ჩაეყარა აზერბაიჯანის ნავთობის გატანას მსოფლიო ბაზარზე. გარდა ნავთობისა, შავი ზღვის პორტებიდან გადიოდა: მარგანეცი, შალეული, ბამბა, ხე-ტყე, სხვა ტვირთი. 1898 წელს გაიხსნა სარკინიგზო მიმოსვლა საქართველოსა და სომხეთს შორის. საქართველოს რკინიგზამ მაშინვე მოიპოვა, შეიძლება ითქვას, საერთაშორისო მნიშვნელობა.

უკვე იკვეთებოდა შორეული პერსპექტივებიც. 1939 წელს დაიწყო სოხუმი-ადლერის რკინიგზის მშენებლობა, რომელიც ომის დროსაც არ შეწყვეტილა. 1942 წლის ბოლოსათვის შავიზღვისპირა ხაზზე მატარებელთა გამჭოლი მოძრაობა გაიხსნა. 1949 წელს სოხუმი-ადლერის უბანი მუდმივ ექსპლუატაციაში მიიღეს.

თითქმის მთელი საქართველო რკინიგზის ხაზებით დაიქსელა. ეს ეკონომიკის სწრაფ განვითარებასა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას განაპირობებდა.

დადგა დრო, როცა ძველი, მამაპაპური ორთქლმავლები უფრო მძლავრმა და თანამედროვე ელმავლებმა შეცვალა. 1967 წელს დასრულდა

თბილისი 1999 წელი

საქართველოს რკინიგზის მთლიანი ელექტრიფიცირება. გაიზარდა მატარებლების მოძრაობის სიჩქარე და ტვირთბრუნვა. საქართველოს რკინიგზამ დამსახურებულად მოიპოვა აღიარება, რაშიც ლომის წილი შეიტანეს მისმა ხელმძღვანელებმა: გრიგოლ კიკნაძემ, გრიგოლ ქადაგიძემ, დავით მამაცაშვილმა, ლევან ვარდოსანიძემ, სხვებმა და სხვებმა, ვისი სახელიც თაობებს ლეგენდასავით გადაეცემა.

მაგრამ ქართველ რკინიგზელებსაც დაუდგათ მძიმე გამოცდის ხანა, როცა ცნობილი მოვლენების გამო მთელ ქვეყანაში ანარქია ბატონობდა. თითქმის ძირფესვიანად განადგურდა რკინიგზის მრავალდარგოვანი და რთული მეურნეობა. 1994-1995 წლებში იგი სრულ გაპარტახებამდე მივიდა. მკვეთრად დაეცა გამტარუნარიანობა, დაირღვა მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების გარანტიები. იყო პერიოდი, როცა საერთოდ საქართველოს რკინიგზის ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა.

აი, სწორედ აქ გამოჩნდა კოლექტივის მონოლითურობა და საქმისადმი ერთგულება. 1995 წელს, ქვეყნის პრეზიდენტის ინიციატივითა და აქტიური მხარდაჭერით, საქართველოს რკინიგზაზე მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა, რამაც მდგომარეობა ძირფესვიანად შეცვალა.

გიგანტური სამუშაოები შესრულდა, რათა რკ-

ინიგზას მთლიანად აღედგინა დაკარგული ტრადიციები. მნიშვნელოვნად გაჯანსაღდა და განვითარდა სალიანდაგო მეურნეობა, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ რკინიგზის საძირკველს. გაძლიერდა ლოკომოტივებისა და ვაგონების სარემონტო ბაზა, გაჯანსაღდა მათი პარკი.

მეორე სიცოცხლე შეიძინა თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელმა და ელმავალმშენებელმა ქარხნებმა.

ამ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა სარკინიგზო ტრანსპორტის მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. 1998 წელს გადაიზიდა 8,5 მილიონი ტონა ტვირთი, რაც 1995 წლის შედეგს 3,6 მილიონი ტონით აჭარბებდა. ტვირთბრუნვამ 2574 მილიონი ტონაკილომეტრი შეადგინა და 1995 წელთან შედარებით, ორჯერ გაიზარდა. საგრძნობლად გაუმჯობესდა მგზავრთბრუნვის მაჩვენებელიც.

გადაზიდვისაგან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 93,4 მილიონი ლარი, რაც 25,3 მილიონი ლარით მეტია წინა წელთან შედარებით. იმატა რკინიგზის წვლილმაც სახელმწიფო ბიუჯეტში, რამაც შეადგინა 19,8 მილიონი ლარი. ეს 5,3 მილიონი ლარით მეტია შარშანდელი წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით"

„არ არის მსოფლიოში რკინიგზა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახმარება არ ჰქონდეს... ჩვენს გარდა"

„სამგზავრო გადაზიდვები - როგორც საგარეუბნო, ისე ადგილობრივი - ზარალიანია. სხვაგან ზარალს ადგილობრივი ბიუჯეტი ანაზღაურებს“

და მაინც: საქართველოს რკინიგზა „რკინის ბორბლებზე“ დადგა; საქართველოს რკინიგზას ეტყობა ახალი ხელმძღვანელის „რკინის ხელი“

***

სერგო კილატოვი: „ჩემი მუშაობის პერიოდში გზის ხელმძვანელები იყვნენ: კიკნაძე, ქადაგიძე, მამაცაშვილი, ისევ ქადაგიძე, ვარდოსანიძე, პაპავა, ბლაჟიევსკი, ანჩაბაძე, ვაშაკიძე და... დღეს ჩხაიძე. ყველას თავისი ღირსებები ჰქონდა. მე ვსწავლობდი მათგან და ვასწავლიდი სხვებს“

***

თავად ხელმძღვანელმა, კარგად იცის ხელმძღვანელის ფასი. იცის თითოეული მათგანის როლი, ზრუნვა და ამაგი რკინიგზის მაგისტრალის, სარკინიგზო მეურნეობის მშენებლობისა და განვითარების საქმეში. „ყველას თავისი ღირსებები ჰქონდა“, იტყვის ბატონი სერგო და უშურველად, დაუზარებლად გესაუბრება თითოეულ მათგანზე, თანაც ისე, ხინჯიც რომ ჰქონდეს ოდნავ გულში, აუგს ვერ დააცდენინებ. ყველამ თავისი საქმე აკეთა... იყო რთული, გარდატეხის წლები, ეტაპები, რომელიც უნდა გაევლო საქართველოს რკინიგზას და გაიარა კიდეც.

მაგრამ არის განსაკუთრებული, ყველასაგან გამორჩეული, ისტორია რომ თავის ადგილს მიუჩენს და შთამომავლობა იტყვის...

***

რკინიგზას არა აქვს საზღვარი. რკინიგზა „ჰკვეთს“ სახელმწიფო საზღვრებსაც და უსასრულობისაკენ მიემართება... ოღონდ, უკან... რჩება სახელმწიფო, ქვეყანა, რომელზეც ეს ფოლადის მაგისტრალი - მოძრაობის მთავარი არტერია გადის და სრულიად ახალი: დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ფუნქცია აკისრია.

***

ახალ საქართველოს თვისობრივად ახალი რკინიგზა სჭირდება.

ახალ რკინიგზას - ახალი ადამიანები, ახალი სიტყვა სარკინიგზო მშენებლობაში.

აკაკი ჩხაიძე - ის ხელმძღვანელია, რომელსაც ისტორიამ განსაკუთრებული ფუნქცია დააკისრა: ახალი ქართული რკინიგზის მშენებლობა, რკინიგზის ტრანსპორტზე ახალი აზროვნების ჩამოყალიბება და განვითარება.

თვალსაჩინო მეცნიერი და პრაქტიკოსი მაშინ მოევლინა ქართულ რკინიგზას, როცა პრაქტიკულად... რკინიგზა აღარ არსებობდა, იგი მართლაც „მიწასთან იყო გასწორებული“

ყველაფერი თავიდან იყო დასაწყები და დაიწყო კიდეც...

გავა წლები, ათეული... ისტორია თავისას იტყვის, ისტორია, ადამიანები შეაფასებენ ბატონ აკაკი ჩხაიძის განსაკუთრებულ, უმნიშვნელოვანეს როლს ქართული რკინიგზის აღორძინებაში...

დღეს კი, სერგო კილატოვი ასე იტყვის: ბატონი აკაკი - დიდი პროფესიონალი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი... დიდი საქმეების ორგანიზატორი, შემოქმედი. დიდი, ძალიან დიდი მუშაობა მიმდინარეობს - სალიანდაგო მეურნეობის, კავშირგაბმულობის, მთელი სარკინიგზო მეურნეობის მოდერნიზაციისა და ტექნიკური შეიარაღებისათვის, თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების დონეზე...

- ბატონო სერგო, რას ხედავთ, რა უფრო ნათლად მოჩანს თქვენი კაბინეტიდან, 2000 წლის ჭრილში?

- აქედან?.. „აბრეშუმის გზაა", რომელიც სიმბოლური სახელწოდებიდან - რეალობად იქცევა. ეს ნიშნავს, რომ მნიშვნელოვნად გაიზრდება საქართველოს რკინიგზის როლი ქვეყნის საარსებო პოტენციალის ამოქმედებაში, და შესაბამისად, ამაღლდება მოთხოვნილება რკინიგზაზე. შესამჩნევად გაიზრდება რკინიგზის გამტარუნარიანობა, ტვირთის გადაზიდვის მოცულობა. და, რა თქმა უნდა, სათანადო შემოსავალიც იქნება, მომატებულ თანხებს მიიღებს სახელმწიფო ბიუჯეტიც...

სერგო კილატოვისთვის: ნაყოფიერების, მუშაობის ეფექტიანობის მთავარი საზომი „თანხები და შემოსავალია“ რაც ბუნებრივია.

***

სამსახურის უფროსი რომ არის, ჰყავს „უმცროსებიც“ და კარგად იცის მათი ფასი. საფინანსო განყოფილების ბუღალტერი მისი მარჯვენა ხელია. თავად მისი „ქვეშევრდომნი“ მოკრძალებითა და მოწიწებით საუბრობენ თავიანთ უპირველეს ფინანსისტზე.

ირინა ხაბლიუკი, ან, როგორც ყველა მოიხსენიებს, ირინა გრიგორიევნა, მთავარი ბუღალტერი: ჩვენი უფროსი... გონიერია, მკაცრი და მომთხოვნი. უყვარს საქმის ზედმიწევნით აკურატულად კეთება. შენიშვნას წყნარად, გასაგებად მოგცემს, ზოგჯერ ხუმრობითაც.

ლევან ბერძენიშვილი - საგზაო სამშენებლო ტრესტის მმართველის მოადგილე: ახალგაზრდობისადმი ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ბატონ სერგოს. ასწავლიდა, ეხმარებოდა, უყვარდა მათი დაწინაურება. შემდგომშიც არ იცვლიდა დამოკიდებულებას - რა თანამდებობამდეც არ უნდა მიგეღწია. ორმოცი წელია ვიცნობ და ასეთი დარჩა დღესაც. არაფერი შეცვლილა ჩვენი ურთიერთთანამშრომლობის პერიოდშიც... დიდებული პიროვნება, ასაკის მიუხედავად, ნათელი გონებისა და აზროვნების კაცი, კორექტული, საქ-

მის მცოდნე პროფესიონალი. აქვს მომავლის განჭვრეტის იშვიათი უნარი. თავის დროზე არაპერსპექტიულად შეაფასა რკინიგზის სკოლების საჭიროება. მისი სწორი პოზიცია ცხოვრებამ დაადასტურა. სამაგიეროდ მზრუნველობა არ მოაკლო რკინიგზის კოლეჯს... გულისხმიერი, ყურადღებიანია თანამშრომლების, კოლეგების მიმართ. არ მახსოვს რაიმე საკითხზე შემეწუხებინა და უარით გამოვესტუმრებინე, ან სხვა დღისთვის გადაედო, მოუცლელობა მოემიზეზებინა. ყველასათვის ცნობილია მისი, როგორც ყაირათიანი, მომჭირნე ფინანსისტის თვისებები. მაგრამ, როცა საჭიროა და თავად მიაჩნია, რომ აუცილებელია დახმარება, უკან არ დაიხევს. ტკივილების გაზიარება, თანადგომა გაჭირვების ჟამს - მისი კაცური ღირსებების მახასიათებელია. არც ლხინს მოაკლდება და შეუძლია სუფრაზე ახალგაზრდულად წარმოჩინდეს.

***

„ძალიან მინდოდა მეხილა სერგო კილატოვის ცეკვა და... ვიხილე კიდეც“, - იტყვის ღიმილით ღვაწლმოსილი, „მისი კბილა“ კაცი, ასევე რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, ამჟამად ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჟორჟოლაძე, ეს, როგორც მახსოვს, მისი 70 წლის იუბილეზე იყო. იგი უაღრესად კომუნიკაბელ-

ურია, ხალისიანი, მომლხენი. და აქაც არ ღალ-ატობს ზომიერებას. შინაგანი დისციპლინა თავიდანვე ახასიათებდა. თავიდანვე დიდი მი-დრეკილება ჰქონდა საფინანსო-ეკონომიკური საკითხებისადმი. უყვარდა თავის თავზე მუშა-ობა და განუწყვეტლივ ხვეწდა პროფესიულ ოსტატობას. გადიოდა წლები და... თანდათან წარმოჩინდა მისი, როგორც პროფესიონალი ფინანსისტის ნიჭი და უნარი. ჩამოყალიბდა ამ სფეროს მუშაკის იშვიათი, კოლორიტული ფი-გურა: უკომპრომისო, მტკიცე, შეუვალი, სპე-ტაკი და პატიოსანი. შემთხვევითი არ არის, რომ სერგო კილატოვს განუწყვეტლივ აწინა-ურებენ, ენდობიან, სამაგალითოდ ასახელებ-ენ, სწავლობენ მისგან. სერგო კილატოვის სა-ხელი სცდება საქართველოს საზღვრებსაც. მას კავშირი აქვს რუსეთის სარკინიგზო ორგ-ანიზაციებთან, საფინანსო სამმართველოსთ-ან. ხშირად იხსენებენ, როგორც „საბჭოთა კა-ვშირის ერთ-ერთ მოწინავე სამსახურის უფრ-ოსს...“ და აი, ჩვენი „ფინანსთა მინისტრი“ (ასე ვეძახით მოფერებით), ისევ თავის პოსტზეა, და ამავე დროს ვეტერანთა საბჭოს პრეზიდი-უმის წევრია. ხშირად შემოგვივლის, ყურადღ-ებას არ გვაკლებს, გვეხმარება მატერიალურ-ად. მინდა ხაზი გავუსვა სერგო კილატოვის, როგორც არა მხოლოდ პრაქტიკოსის, არამედ პროფესიონალი თეორეტიკოსის უნარს. წლე-

ბის განმავლობაში მას ჩამოუყალიბდა საკუთარი დამოკიდებულება, შეხედულება და მიდგომა საფინანსო საკითხებისადმი. დარგის ღრმა ცოდნა, ნოვატორული პროფესიული აზროვნება გახდა იმის საფუძველი, რომ ჩვენ ოფიციალური ნებართვა მივეცით სერგო კილატოვს - წაეკითხა ლექციები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში...

***

„40" ლამაზი ციფრია მის აქტივში კიდევ იმიტომ, რომ: 40 წელი ასწავლიდა იგი რკინიგზის ტექნიკუმში (ამჟამად კოლეჯში). საქმეში რაციონალურად მოაზროვნე, მკაცრი ფინანსისტი უხვად გასცემდა ცოდნას, უშურველად, ამომწურავად...

და აი, მისი - პედაგოგის სახელი მშობლიურ უნივერსიტეტსაც მისწვდა...

უნივერსიტეტის კათედრაზე დგას ტანმორჩილი, ენერგიული მამაკაცი. მისი მეტყველება, აზროვნება ლოგიკურია, მტკიცე და დამაჯერებელი. პედაგოგები, სტუდენტები დიდი ინტერესით ისმენენ ლექციას დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე. იგი თანმიმდევრობით, ეტაპობრივად აანალიზებს მეთოდებს, რომელიც დღემდე გამოიყენება წარმოებაში. იწყებს მათ შეჯერებას. ყველა ეს მეთოდი თავის დროზე „მუშაობდა", ასრულებდა მოვალეობას. მაგრამ მეცნიერება, ცხოვრება

წინ მიდის. ტექნიკური პროგრესი მოითხოვს გა-ნუწყვეტელ ძიებას, ახალი შეთოდების გამონახ-ვას. სწორედ აქეთკენაა მიმართული დაგეგმვი-სა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სის-ტემა...

საჩვენებელი ლექცია მთავრდება.

კათედრის გამგე დგებუაძე: „სრული პასუხი-სმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ მოგვევ-ლინა დიდი პრაქტიკისა და თეორიის მცოდნე ლექტორი“

დგებუაძე არ ცდება.

რვა წელიწადი კითხულობს ლექციებს სახელ-მწიფო უნივერსიტეტში რუსულ სექტორზე სერ-გო კილატოვი.

პროფესიონალი ფინანსისტი პროფესიონალი პედაგოგი ხდება.

თეორიისა და პრაქტიკული სემინარის შერწყ-მის მისეულ მეთოდს მოწონებით იზიარებენ კა-თედრის პროფესორ-მასწავლებლები.

„საბუღალტრო აღრიცხვა და ანალიზი“ სტუ-დენტთა საყვარელი საგანია. ბევრი მათგანი რკ-ინიგზის სისტემაში მუშაობს.

თვით სერგოს უჭირს პარალელურად უნივე-რსიტეტში მუშაობის გაგრძელება და რვა წლის შემდეგ, გულისტკივილითა და მადლიერებით აცილებენ საყვარელ პედაგოგს. იგი აგრძელებს პედაგოგიურ საქმიანობას რკინიგზის ტექნიკუმში. მისი მოწაფეები რეს-

პუბლიკის რკინიგზის ბევრ წარმოებაში მოღვაწეობენ.

სიყვარული კი არ იკარგება.

***

„რად მიყვარს ფინანსისტის პროფესია? ალბათ იმიტომ, რომ მეტია პასუხისმგებლობის გრძნობა, აკონტროლებ - სწორად იყოს გამოყენებული სახელმწიფო სახსრები“

„კიდევ: მიყვარს ფეხბურთი“

ამაყობს, რომ ცნობილი მწვრთნელი და ფეხბურთელი ნოდარ ახალკაცი „რკინიგზელი“ იყო. ახლა „ლოკომოტივია“ მისი კერპი და ყველა სხვა სფეროში ხელმოჭერილი ხაზინადარი საკმაო გულმოწყალებას იჩენს. მართალია, დროის სიმცირის გამო, თავად ვერ ახერხებს ყველა მატჩზე დასწრებას.

რკინიგზელის პროფესიათა შორის, რომელი მოგწონთო ყველაზე მეტად, მემანქანეო, უმალ გიპასუხებთ.

***

თუმცა უფროსმა შვილმა ალიკამ, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი რომ დაამთავრა, მემანქანეობას რკინიგზის ლაბორატორია არჩია. უფროსიც იყო ერთხანს.

პროფესიით რკინიგზელია უმცროსი ვაჟი კოტეც. დეპოში მუშაობდა. ახლაც რკინიგზაშია, ოღონდ პოლიციაში.

ოთხი შვილიშვილი ჰყავს.

„შვილიშვილები მირეკავენ, მახსენებენ, რომ სახლში ვარ წასასვლელი: პაპა, დღეს მაინც არ გცალია?“

სახლში მეუღლე ელოდება, ქალბატონი გალინა მეგენეიშვილი.

***

კიდევ ერთი ჩვეულებრივი დილა თენდება სერგო კილატოვისათვის.

კიდევ ერთხელ და, ვინ იცის მერამდენედ, შეაღებს კაბინეტის კარს.

რამდენი თანამშრომელი შემოვა დღეს, როგორც ყოველთვის, მის კაბინეტში.

რამდენს გასცემს პასუხს სწრაფად, თითქმის დაუფიქრებლად.

რამდენჯერ აწკრიალდება ტელეფონი;

რამდენჯერ გაისმის მისი, ჯერ ისევ ძლიერი, გაუბზარავი ხმა;

მერამდენედ გადაფურცლავს დოკუმენტებს, საქმიან ქაღალდებს;

მერამდენედ ჩახედავს, ჩაითვლის, მოეფერება, მოესათუთება საყვარელ ციფრებს...

***

არის ციფრი, რომელსაც ჯერ გულში ინახავს და, ამოფრენას ელის:

80.

გვჯერა, თავის საიუბილეო თარიღს, მიმდინარე წელს, სერგო კილატოვი ჩვეულებრივ მხნედ და სამუშაო პოსტზე შეეგებება.

საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორი აკაკი ჩხაიძე „ღირსების ორდენს" გადასცემს სერგო კილატოვს

***

ნათქვამია: 2000 წელს ბევრი დაუშვებს შეცდომას, როდესაც წლის დათარიღებას უნებურად, ისევ „ერთიანითა“ და „ცხრიანით“ (19..) დაიწყებს.

ამას „საუკუნის შეცდომას“ უწოდებენ.

„დიდი საუკუნის შეცდომას“ გისურვებთ, ბატონო სერგო!

აღიარება

ეს პატარა, მოკრძალებული ნაშრომი ბატონ სერგო კილატოვზე უკვე დასრულებული გვქონდა, როდესაც გახდა ცნობილი: საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით -

საქართველოს რკინიგზის საფინანსო სამსახურის უფროსი სერგო კილატოვი დააჯილდოვეს ღირსების ორდენით.

დიდი ჯილდო - დიდ სიხარულად იქცა არა მარტო სერგო კილატოვისათვის.

საფინანსო სამსახურის უფროსის უანგარო შრომის აღიარება მთელი სისტემის შრომის დაფასება და აღიარებაცაა.

ამიტომ მიულოცეს გულითადად „რკინის ხაზინადარს“ ეს დიდი ჯილდო რკინიგზელებმა.

ამიტომ გვსურს ეს მილოცვა მათივე სიტყვებით გამოვხატოთ, ამ რამდენიმე ხნის წინ, შრომითი საქმიანობის 60 წლისთავზე რომ უძღვნეს სერგო კილატოვს.

ბატონო სერგო!

გულითადად გილოცავთ თქვენს ცხოვრებაში ღირსშესანიშნავ მოვლენას - შრომითი საქმიანობის 60 წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას პირად ცხოვრებაში და წარმატებებს თქვენს მოღვაწეობაში.

ჩვენს მეხსიერებაში არ მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელსაც თქვენსავით 1939 წლიდან დღემდე, 60 წლის მანძილზე, უწყვეტად ეღვაწოს საქართველოს რკინიგზაზე, თქვენ ხომ 40 წლის მანძილზე სათავეში უდგეხართ საფინანსო სამსახურს, რომლის გამართული მუშაობაც რკინიგზის განვითარებისა და წარმატებების საფუძველია.

ყველასათვის ცნობილია თქვენი სახელოვანი შრომითი გზა, რომელიც განვლეთ რიგითი ბუღალტრის თანამდებობიდან საფინანსო სამსახურის უფროსამდე. მიუხედავად მრავალი ქარტეხილებისა, რომლებიც სხვადასხვა დროს თავს დაატყდა რკინიგზას, თქვენ შემართებით ემსახურებოდით და დღესაც დაუღლელად ემსახურებით საყვარელ საქმეს. დიდია თქვენი წვლილი საფინანსო დისციპლინის განმტკიცებისა და ფინანსისტთა არაერთი თაობის აღზრდის საქმეში, რომლებსაც ჩვეული ენერგიითა და მონდომებით, უშურველად გადასცემთ თქვენს უზარმაზარ გამოცდილებას.

ბატონო სერგო, წლების მანძილზე მუშაობის

პერიოდში, გამოამჟღავნეთ თვისებები ნიჭიერი ორგანიზატორის, ენერგიული და მაღალკვალიფიციური სპეციალისტისა. მაგისტრალის რკინიგზელები გიცნობენ თქვენ როგორც პრინციპულ, ერუდირებულ და მომთხოვნ ხელმძღვანელს, გულისხმიერ და ჰუმანურ ადამიანს, დახვეწილ, ინტელექტუალურ პიროვნებას, კაცურ კაცსა და გულთბილ მეგობარს.

ბატონო სერგო! თქვენმა ადამიანურმა და საქმიანმა თვისებებმა მოგიხვეჭათ დიდი ავტორიტეტი რკინიგზელებს შორის. თქვენი ღვაწლი და ამაგი სათანადოდ არის დაფასებული. ხართ საპატიო რკინიგზელი. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თქვენთვის მაინც ყველაზე დიდი ჯილდო იმ ადამიანების სიყვარულია, ვისთანაც კი რაიმე ურთიერთობა გქონიათ ოდესმე.

ერთხელ კიდევ გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ბედნიერებას თქვენი საყვარელი ოჯახის წევრებთან და მრავალრიცხოვან მეგობრებთან ერთად.

გვწამს, კვლავ მრავალი წლის მანძილზე ჩვეული ენერგიითა და ახალგაზრდული შემართებით იშრომებთ რკინიგზის ტრანსპორტის, მისი კოლექტივის, ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

რედაქტორი – **ანზორ გვარჯალაძე**

მხატვრული რედაქტორი – **პაატა ქორიძე**

კორექტორები – **ლალი ნარაკიძე**
მაკა დანელია

გამოყენებულია ნოდარ შიუკაშვილის ფოტოები

ტექნიკური რედაქტორი – **გივი მღებრიშვილი**

გამომცემელი გაზეთი „ევრაზია-ექსპრესი“